

1915



Н. Я. НИКОЛАДЗЕ
№ 12

5 აპრილი 1915 წ.

გენერალური მოსახლეობის
სამსახურის მიერ

ტლიური ფასი

— 5 გვე. —

უმცილ კვირეული საზოგადო-ეკონო.

ცალკე ნომერ 10 კაპ.

მიური და საღითარალური შესრულები

რედაქცია ლია 9—3 საათამდე.

ზელიჯაზი მიოთხვა

ანამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „გლობუს“. დეპუტატი: თბილისი ქლიფ.



გერმანელები სპილენძეულობას აგროვებენ სამხედრო იარაღისთვის.



ს ა რ ჩ ი ზ 0:

1. სახ. განათ. სამინისტროს ახალი კურსი და ჩვენი საჭიროებასი. — სანდრო შვილისა.
2. „ქართლი“ და „ბათუმი“. — 3. გ—სი. 4. მერეული გვივი და ჩაგრლე / ერების ბედი რუსეთში. 5. გიორგი გაზეთი. — 6. გედი (ლექსი). — 7. სხვა და სხვა აშშება.
8. საზოგადოებისადმი. — 9. კასრაძისა. 10. ქემომწირველთა სია.

სახ. განათ. სამინისტრ. ახალი კურსი და ჩვენი საჭიროებასი

(იხ „კურსი“ მეცხრე და მეათე ნოშრები)

წარსულ წერილში ჩვენ შევჩერდით იმაზედ, რომ სწავლა-განათლების საქმეში იჩინა თავი ახალი მიმართულებამ, გაისმის უკმაყოფილება მიღებულ წესის წინააღმდეგ და არის თითო-ორიოლი ცდა ჩვენ ცხოვრებასთან უფრო შეფერებულ და ჩვენთვის გამოსადეგ სასწავლებლის შექმნისა. ეს ცდა და სურვილები, ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ თავის პირველ ნაბიჯს არ გიხცილებია, მათ თან არ ახლიას შეგნებული მოქმედება გარკვეულ ეროვნულ პოლიტიკაზე დამყარებული. მაგრამ ჩვენი გვრამს, რომ რამდენადაც წინ წავა ჩვენი ეროვნული შეგნება, იმდენად მეტი თანამოაზრე ეყოლება ამ მიმართულებას და იგი შესძლებს შესცვალოს კლისიკური სწავლა-აღზრდის სისტემა უფრო ცხოველ-მყოფელი სისტემით. დღეს კი იგი მხოლოდ ცხოვრების ამონაკვეთია და შედევია არა გარკვეული შეგნებისა, არამედ იმ წინააღმდეგობისა, რომლითაც დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს ცხოვრება თავის მოთხოვნილებით, ჩვენი, თუ შეიძლება ისე ითქვას, დღევანდელი აუცილებლობა და საჭიროება ერთის მხრივ და გამატონებული ტიპი სკოლისა, ჩვენთვის მეტად მავნე შედევებით, მეორეს მხრივ. თუ ჩვენ ცხოვრებას თავის აზრიდ და შინაარსად დღეს ერთის ინდივიდუალური სახის შენახვა, ერთის კულტურულ-ეკონომიკური ზრდა და განვითარება აქვს — მაშინ უკელისაოვის ცხადი უნდა იყოს რა წინააღმდეგობას უწევს ამ დედი აზრს, რა დამზარებელს და შემაფერხებელს მოვლენას შეადგენს სწავლა-აღზრდის მიღებული სისტემა, რომლის უკურმართი გავლენა და უარყოფითი სამსახური ეროვნულ ცხოვრებისათვის, ჩვენის აზრით, საკმაოდ აშკარად ვყავით წინა წერილში. მაშინადამე

ბრძოლა ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესობისათვის მოითხოვს უპირველესიდ ეროვნულ სკოლისათვის ბრძოლას. ამისათვის სრულიად გაუგებარია ჩვენთვის ის სიხარული და ოლტაცება, რომლითაც ხვდება ჩვენი პრესია ისეთ მოვლენებს, როგორიც არიან რომელიმე პროვინციალურ ქალაქის ან დაბის პროგიმნაზიის „სრულ უფლებიან გიმნაზიათ“ გარდაქმნა. ყოველივე ექვს გარეშე, რომ ძველი მავნე სისტემის — ახალი სასარგებლო სისტემით შეცვლა დიდი ძალას, ენერგიას და ბრძოლას მოითხოვს ჩვენგან. და მით მეტი ძალის და ენერგიის დახარჯვა მოვინდება, რამდენადაც მდგრადი აქვს გადგმული ფესვი ჩვენ ცხოვრებაში. კლისიკური გიმნაზიები ადვილად არ დაუთმობენ ადგილს პროფესიანულს და ტექნიკურს სასწავლებლებს, რომელთა მიზანი არა მოხელეთა კადრის, არამედ ჩვენს ეკონომიკურს განთავისუფლებისათვის მცირე და საჭირო პირთა აღზრდა იქნება. ახალი საჭირო მიმართულებას ვერ მიიღებს ისე ჩეარა სასურველს განხორციელებას, რადგან ძველს განსაკუთრებითი პატრიონობა აქვს მოპოვებული, მას იცნებს ფართო საზოგადოებრივი მასა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ძველს სისტემის თვითონ ქირთველობაში ჰყავს არა მცირე რიცხვებინი ინტელიგენტ-მოხელე სნე კლასი, რომელიც თავის მდგრადი მოწოდებით არის დინატერესებული ამგვარ სისტემის არსებობებში.

დროთა უკუღმა ტრიალის წყალობით წვენი განათლებული კლისორი საზოგადოებრივი განწყობილება ისეთია, რომ ეს კონსერვატიული შენახვა ძველისა თავის დამცველთ ვიწრო, პირდაპირ დაინტერესებულ ჯგუფის გარეშე და იპოვის მის დასკარების ვარავით წინა წერილში. მაშინადამე

ველად ხმას ამოაღებინებს უფრო ფართო საზოგა-
ლებას. არ გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ, მაგრამ
ეს ასე მოხდება და ასედაც ხდება.

მაშ, როთი აახსნება ასეთი მავალითები? ყველას
ეხსოვება ერთ ჩვენ უფრო გაფრცელებულს გაზეო-
ში დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც სწორედ იმ
შესაზრებით, რომ ადგილი თავიანთ კაცისთვის
შეენიხეთ, ამართლებლენენ ყველასაგან დასაგმობს
ნაკლს და ყოვლად დიდმნიშვნელოვან საკითხედ
წარმოთქმული იყო ისეთი ველური პედაგოგიური
აზრები რომელთაც ლუარსაბ თაოქარიძის მარნის
დერეფნის აქეთ გასავალი არ უნდა ჰქონდათ.

და, იმ ტრავიზმიც ჩვენი ცხოვრებისა სწორედ
ის ვახლავთ, რომ ისედაც კონსერვატიულმა სის-
ტემამ აღზირდა ჩვენში ისეთი კლასი, რომელიც
დღეს თავის არსებით და მდგომარეობით ონა-
მგრძნობი ვერ იქნება ეროვნულ მიმართულების და
დანიშნულების სკოლისა ამის საუკეთესო დამაზ-
ტკიცებელი ისიც არის, რომ მიუხედავად მასწავ-
ლებელთა მრავალ რიცხვანებისა— ჩვენში არ არ-
სებობს ქართველ მასწავლებელთა საზოგადება, თუ-
მცუ ამაზედ არა ერთხელ ჩამოვარდნილა ლაპარაკი.
(რამდენათაც გვახსოვს პირველად „ოქმი“ იყო
ამის შესახებ წერილი იმ ორი, სამი წლის წინეთ)
არ არსებობს გარკვეული პედაგოგიური აზრი და
ეროვნული პედაგოგიური მიმართულება.

თაშაბად შეგვიძლიან ვოქვათ, რომ ჩვენის
ცხოვრების არც ერთი მხარე ისე არ განიცდის
იმპერიალისტერ: *divi le et impera.* — სრულს და
მთლიანს გავლენას, როგორც სწავლა— აღზრდის
საქმე. აქ არამაც თუ განაწილებულია ერთ, არამედ
ის ნასწავლი კითხი, რომელიც საღი მესვეური
უნდა იყოს ეროვნულ მიმართულებისა სწავლა აღ-
ზრდის საქმეში სრულიად მოწინააღმდეგე ბანაკში
სდგას დღეს.

აი, ასეთ მძიმე პირობებში უხდება შექმნა ახალის
მიმართულებას და ასაკვირველია შესაფერ კვალს
და გავლენასაც განიცდის იგი თავის განაორციე-
ლების ისტორიაში. თუ მხედველობაში არ გვექნე-
ბა კომერციული, ვინაგრადოვის— ტეხნიკური და
სხვა პროფესიონალურ ტეხნიკური სასწავლებლები,
რომელიც სხვამ დაგვიარსა, ჩვენ დღემდის ვერ
შევძლით შექმნა არც ერთი საზოგადო სასწავლე
ბულისა, რომელიც ჩვენს რეალურს სარგებლობას
ემსახურებოდეს და ცხოველ-მყოფელი იყოს დიადი
და ერთათ ერთ საღ აზრით— ასწავლიდეს და
ზრდიდეს ადამიანს ცხოვრებისათვის. რამდენი ხანია

არსებობს ქართული წლთა სასწავლებელი (გომნა-
ზიათ წოდებული) და არც ჩვენს ვარეშე არც
შიგ მყოფებმა არ ვიცით რა ტანის მოს, ან რა
ტიპისა იქმნება? შარპინ წინ შემუშავებული პრო-
გრამმა არავითარ სახეს არ აძლევს, სარეფტონ იგი
გ ნუხორციელებულია და პედაგოგიურ შეუძლე-
ბლობასაც წარმოადგენს. მთავარი თანამედროვე
სასწავლებლის ნაკლი, ყველისაგან ცნობილი და
თვით მინისტრისაგანაც აღიარებული არის რომ ბავ-
შეი ებლაუკება მისალის, რომლის დასაძლევად მას
ძალია არ შესწევს.

ეს იმ სასწავლებლებში, რომელთაც ერთი
განსახლებული მიმართულება აქვთ, ან ჰუმანიტა-
რული, ან პროფესიონალური და სხვა. ჩვენ კი
ქართველურად ვაგვულუხვედ და ერთ, ქონება
მოკლებულს სასწავლებელს, სამი თუ ოთხი სხვა
და სხვა აზრი დაუსახეთ. სხვა მრავალ მაგალითთა
შორის ესეც იმის დამატებულებელია, რომ ამ მი-
მართულებას არა ჰყავს გარკვეული შეხედულების
და საჭირო მომზადების მქონე პირნი ჩვენში და
მეტათ ძნელ პირობებში უხდება გზის გაკვლევა.
მაგრამ, თუ ჩვენს ხალხს მომავალი უწერია— სწო-
რედ ეს მიმართულება არის ცხოველ-მყოფელი და
მომავალის მქონე. ისე, როგორც იცვლება ასე
წლის ნაწარმოები „დამყოლი“ პოლიტიკა, გამა-
თხესიანებელი ჩვენის ცხოვრებისა— ისე უნდა შეი-
ცვალოს კლასიკური სწავლა აღზრდის სისტემა,
შემდეგი დიდი ენერგიისა და წყურვილისა და სამა-
გიეროთ მშობი ერისთავის აზამც თუ პასიურ და
უხარებლო, არამედ მავნე ელემენტისა. ნაცვლად.
ერთ უნდა დაადგის ისეთ სწავლა-აღზრდის სისტე-
მის რომელიც აღუზრდის საჭირო ცოდნით აღ-
უზრილ პირთ, რომ არა მოხელეობას, გადაგვარე-
ბას შეაღიონ მათ თავისი ძალა და ენერგია, არა-
მედ ერთი სისუიდრის დამუშავებას; მთელის თავისი
არსებით დაინტერესინენ ერთ და თავი გამოიდონ
მისთვის. უნდა შეიქმნენ პროფესიონალურ-ტექნი-
კურ სასწავლებლები, რომელნიც მასცემნ მუ-
შავთ ჩვენ ეკონომიკის ცხოვრებას და ეკონომი-
კურის განავაისუფლებით ერთ კულტურულად აამა-
ლებენ, პოლიტიკურათაც უკეთეს ყოფას მოუპოვე-
ბენ.

თუ, არსებობს ჩვენში რაიმე ეროვნული შე-
გნება და მოძრაობა მან გარკვეული შეხედულობა
და განსახლებული პოლიტიკაც უნდა აწარმოვოს
სწავლა აღზრდის საშეში. ჩვენ არ გვესმის ის მი-
მალითულება, რომელიც დღემდის ეროვნულ დრო-

შას ებლაუცება ჩვენში, სხვა და სხვა დაწესებულებებს თავს მონოპოლიათ სოვლის იმ მოსახრებით, რომ იფი ეროვნული იდეის მატარებელი და ეროვნული ინტერესების დამცველია და ამავე დროს არამც თუ ხმა არ ამოულია ამ ანორმალურ მოვლენის წინააღმდეგ, არამედ ჩაღარძნობით ეკიდება მას და დიდათ შეპხარის პროვინციის კლასიკურ პროგიმნაზიებით და გიმნაზიებით გამდიდრებას. თუ რუსეთში ცნობილმა მინისტერმა ტოლსტოიმ კლასიკურ აღზრდას განსაზღვრული რეაქციონური აზრი მისცა ჩვენში ისინი პირდაპირ გარესების, ეროვნულ მოძრაობის ჩუნელებელ იარაღათ იყვნენ ნახმარი. დღეს რუსეთიც კი უქცევს მათ პირს და მით უმეტეს ჩვენც მოვალენი ვართ დავგმოთ დიდი ბნის დასაგმობი და სკოლა დაუქცემდებაროთ ჩვენის ცხოვრების მოთხოვნილებას, ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულებას.

წინა წერილში ნათქვამი გვქონდა, რომ არც ისეთი საწყლები და უიარაღონი ვართ, რომ არა-ფრის გაკეთება შეგვეძლოს ამ მხრივ. ჩვენი ბიუჯეტი - სასწავლო ფულის და საზოგადოებრივ სუბსიდიების სახით სრულს უფლებას და საშუალებას გვაძლევს დავადგეთ ასეთ გზას და შევქმნათ ისეთი სისწავლებლები, სადაც ბატონ—პატრონობაც მეტი გვექნება დარომელნიც ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნებიან.

ეს ირის ჩვენი მორიგე საკითხი, უახლოესი საჭიროება, საჭიროება, რომლისაუკის აუცილებელია: გარეული შეგნების განმტკიცება, მაშასადამე ფართო საზოგადოებრივი პროპაგანდა და ყოველწლია-რი ცდა, რათა ჩვენი დაწესებულებითა დახმარებ სწორედ ამ საჭიროების განსახორციელებლად იყოს მოხმარებული.

სანდროშვილი.

„ქართლი“ და „კახეთი“

II *)

ამბანაგობა „ქართლის“ დანიშნულება ქართლის მეხილეთათვის იმგვაროვეა როგორიც საზოგადოება „კახეთისა“ კახელ მევენახეთათვის, ე. ი.

*) იხ. „ქლდე“ № 11.

ერთმაც და მეორემაც უნდა შეაერთოს და შეაჯგუფოს საერთო წარმოება გასაღებისათვის ჯერ ვიწრო ჯგუფი ვაწრო რიონისა და თანამდებობის მიაღწიოს იმ მდგომარეობას რომ მოყლოურებების და ქართლის რიონები მთაქციონებულების ფარგლებში ასეთი დიდი, საყურადღებო და მომგებიანი საქმის გასახიარებად, რასაკეთიველია არა კმარა ერთიანი კაცის თავგანწირული მუშობია, ირამედ აუკილებლიდ საჭიროა სოლიდარული მოქმედება ამხანაგობაში შესულ ყოველი წევრისა. საუბედუროდ ჩვენში ნაკლებადა აქვთ წარმოდგენა რომ კომპეტიციულ საქმეს დიდი მომავალიცა იქვს და ივითოთქმას ერთიან-ერთი საშუალებაა ბრძოლისა იმ ჩარჩულ წესებთან, რომელნიც აქამდის ჰყვლეფავენ სოფელს და მის ნაწილოებს გროშის ფასად იგდებენ ხელში, რომ მომხმარებელზედ შემდეგ გააძლონ მამასისხლად. იმგვარად ზარალშია მწარმოებელიც და მომხმარებელიც. მაგრამ გათვალისწინება ამ მოვლენისა და მისი ბრჭყალებიდან დაღწევა ერთნაირად ადვილი არ არის. იმ აზრის ვანხორციელების დროს, რომ მწარმოებელმა თვითონ მიაწოდოს თვისი ნაშრომი მომხმარებელს, თვითონაც სრული ფასი იიღოს და მომხმარებელსაც შეუმსუბუქოს ზედმეტი ხარჯი, — ჩვენ გველობება წენ მრავალი დაბრკოლება, რომელთა დაძლევა მხოლოდ მაშინა ხდება ადვილი, თუ ამხანაგობისა თუ საზოგადოების წევრნი ნათლად შეიგნებენ კომპეტიციის უდიდეს მნიშვნელობას ჩარჩი ათას ხერხსა ხმარობს. რასაკირველია, რომ მწარმოებელი ხელში ჩაიგდოს. ჯერ მოუსხმელ ბალში, მარტსა, აპრილსა თუ მაისშივე აძლევს ბეს- მოელი შემოსავალი ჩემი იყოს და ამგვარად, გაჭირებული პატრონს ბალისა თუ ვუნახისის ახარებებს ფულით. ბევრჯელ საშასი-ოთხასი თუმნის შემოსავალი ბალს იბევებს ათა-ოუკი თუმნით და მთელი შემოსავალი მიაქვს თომოც თრმოც და ათ თუმნად. ჩარჩი კისრულობს დაკრეფასაც. ბალის მოვლასაც კი, ოღონდ სრული შემოსავალი გაინაღდოს, არ დასრულოს არც ნაქარევი, არც ჭიანი, არც დასეტყვალი და კარგს ხომ მარცვალსაც არავის დაანებებს ისეთი წელი შეაცდენენ ბოლოე ერთის მხრით გაჭირებულს მემამულეს. ნამდეტნავად ბატარიას, და მეორე მხრით ზარმაცს — საუბედუროდ ეს მართალი არის; ოღონდ კი ერთბაშად თავიდან მოიშოროს თავისი მოსივალი და დაქვიდებით გროშები ჩაიღავოს, და თუნდა მესამედსაც დასჯერდება.

მაგრამ, როგორც ვიცით, თანდათან ცხოვრება

ჩოულდება, ძვირდება, ჩვენი თავად-აზნაურობა გა-
რაორმდა და გლეხობა ხომ მუდამ ასეთი იყო და
აქტოვება კი უკველოვის უკეოესი მასწავლებელია
უ მართლაც საიმედო ნიშნები უჩანს ჩვენს ცხოვ-
რებას: შრომის შეუვარება, შრომ-ს გაპატიოსნება.
სკნ არ გვინდა გრძელი ექსკურსია გავაკეთოთ ფსი-
ოლოგიურ ანალიზი, მაგრამ მოკლედ უნდა აღ-
ნიშნოს რომ ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფერა
ცემდის უსაქტურობაზედ იყო დანდობილი; რამე
საქმე, ვაჭრობა, მეურნეობის ინტენსიურად წარმო-
ქა და სხ. და სხ. რაც ცხოვრებას აძლევს სიძლი
ერს და მკაფიო სახეს— კველაფერი ეს აბუჩად აგ-
ფებული იყო და სასირცხვილოდაც ითვლებოდა.
ის მიზეზად აუცილებლად ის უნდა ჩაითვალოს,
რომ მთელი ჩვენი ინტელიგენცია და ეგრედ წო-
დებული საზოგადოება თავად აზნაურობისაგან არის
შემდგარი. იმ თავად-აზნაურობისაგან, რომელსაც
ისტორიულ და მარტოოდენ გამგებლობა და ბატო-
ნიბა ჰქონდა ხელთა და ხმალი იყო მისი ერთად-
ერთი იარაღი. ბატონურ ფს ხოლოვის შეცვლა
რამდენიმე წლის განმავლობაში შეუძლებელია და
პირიქით საკვირველიც არის თუ ასე მოკლე ხანში,
როდესაც გაჭირვება დაგვადგა— როგორ მალე კა-
დება თავად აზნაურობიდან გამოსული ინტელიგენ-
ცია - საქმიანობას.

იმის საბუთი მარტო თეორეტიული მოსაზრება
კი არ არის, არამედ ის აურაცხელი სანიმუშო ბა-
ლები, ვენახები, საკრედიტო თუ მომხმარებელი სა-
ზოგადოებანი, სამეურნეო თუ სხვა რამ დარგის
დაწყებანი არიან.

დაუბრუნდეთ „ქართლს“. ეს ამხანაგობაც
სწორედ მაჩვენებელია იმისა თუ როგორ გაიზარდა
ერთის მხრით საქმიანობა ჩვენში და მეორეს მხრით
შეგნება. მთელი ქართლი მოფენილია ახლა ხილის
ბალებით და იქიური ხილი, განსაკუთრებით კარგი
თვისებისა, აკმაყოფილებს არა მარტო იქაურ ბა-
ზარს, არამედ ბაქოს, როსტოვის, ოდესის და სხვა-
სა. არა ერთი შემთხვევა უოფილი, რომ იქაური
ხილი იყიდებოდეს მოსკოვსა და პეტერბურღში,
ყირიმისა და თურქეთშიანის ხილის სახელით. ჩვენ
კიცით, რომ არსებობენ ბატარ-პატარა კერძო ამ-
ხანაგობანიც, კერძო პირებიც, რომელნიც განსა-
კუთრებით რუსეთში ისტუმრებენ ხილსა. მაგრამ
იქამდის ერთი მწყობრი ორგანიზაცია, რომელიც
შეიტოვებდა უდიდეს ნაწილს და ნამდვილს საწარ-
შოვო-გამსაღებელ კომპერატივს შექმნიდა— არ
კოფილია. ჩვენის ლრმა რწმენით, ამხანაგობა „ქარ-

თლი“, რომელსაც უკვე საძირკველი იქნება ჩადგმუ-
ლი, შესძლებს ამ დიდი იდეის განხორციელების,
თუ დროზედ განიკურნა იშ არა სახურველ და
უცნურ წესებისაგან, რომელნიც თან დაკავნენ
დაბადებასთან ერთად. ეს უცნაური წესები, რაღა
თქმა უნდა იმით იყვნენ გამოწვეულნებულებების სათა-
ვეში მდგრმნიც და იდგილობრივი წევრნიც— უკვ-
ლა თავისკენ იწევდა განსაკუთრებით და სოლიუა-
რულ მოქმედებას ნიაღავი ეცლებოდა. ეხლა, რო-
გორც ვიცით, კოლეგიალური მუშაობა სწარმოებს,
ძველი ნიკლები კოტად თუ ბევრიდ გამოსწორე-
ბულია და საქმეს კარგი პირი უჩანს, თუ ხელ-
მძღვანელნი შესძლებენ წევრების კონსოლიდაციას.
ამ ძვირფას საქმეში კველაზე უძნელესი საკითხი
სწორეთ ეს არის და იმას უნდა მიექცეს ყურადღე-
ბა, თორემ სხვა კველაფერი ჩეზად სადა და უბრა-
ლოა, მაზედ თავის ტეხა ბევრი არ იქნება საჭირო.

როგორ უნდა მოხერხდეს ეს კონსოლიდაცია?
რაღა თქმა უნდა, რომ თავი და თავი— მაგალითია:
თვით გამგეობის წევრნი და გამგენი უნდა მავა-
ლითს აჩვენებდნენ წევრებს მუყაითობისა და შრო-
მის მოყვარეობისას, ამხანაგობის წესებისადმი პატი-
ვის ცემისას. გამგეობა უნდა მუდამ ბრუნავდეს
წევრების ინტერესებისათვის; პრესის, პროპაგანდის
თუ პირადი შეხვედრის რა საშუალებით უნდა არ-
წმუნებდეს და აჩვენებდეს კომპერატივის სარგებ-
ლობას, მისი მომავალის სიდიდეს. საზოგადოება
„კანეთის“ მაგალითზე უნდა ვისწავლოთ, რომ
იუცილებლად საჭიროა მკიდრო ურთიერთობა
წევრებსა და გამგეობის შორის, რომ უკანასკნელი
არ გადაიქცეს ბიუროკრატიულ დაწესებულებად,
საკი მხოლოდ რევისტრაციის ასლენენ საქმისას და
ნაკლებად უწევენ ანგარიშს თვით საქმის გაუმჯო-
ბესებისა თუ გიფართოვებას.

წევრებთან დაახლოებება— აი ის უაღრესი ნია-
დაგი, რომელზედაც აღმოცენდება სასიკეთო საქმე.
ამ მხარეს უნდა მოვლა და გაპოხიერდა, თუ
გვხურს საქმის განვითარება და ფაფურჩქვნა. უკვე-
ლი წევრი უნდა გრძნობდეს, რომ ის ისეთივე
ამხანაგია, როგორც სხვა, ისეთივე პატრონი სა-
ქმისა, როგორც დანარჩენები და გამგეობის წევ-
რნიც მხოლოდ მათი ამხანაგები არიან საქმის
გარმოებელნი და არა ბატონები.

უკველმა წევრმა უნდა მკაფიოდ შეითვისოს
ის აზრი, რომ საერთო მაღაზია მაკ., საერთო
საქმის მოწყობა— მისი საკუთარო საქმეა, მის სა-
კუთრებას შეადგენს და არა ისე, უკურებდეს,

როგორც უცხო დაწესებულებას, რომელთანაც
მიაქვს თავისი თანამოები მისაყიდვად. ეს უკი-
ნას უნელი ფსიქოლოგიური განწყობილება პბადებს
შედაძ უკმაყოფილებას, რადგან წევრს მაშინ უნდა
შეტის გამორჩენა სხვ საგან, მაშინ როდესაც სა-
კუთარ საქმეში ის უნდა ცდილობდეს შეტი ბოგც-
ბის ამოღებას საკუთარი ზომის და საქმია გაუ-
მჯობესებისაგან. ამხანაგობა მას უნდა ისე ჰქონდეს
წარმოდგენილი, როგორც თავისი საკუთარი წევ-
ლი. რომელიც იმდენად მეტს სარგებლობასა და
სიამოვნებას მისცემს, რამდენადაც მეტს სიყვარულ-
სა და იღზრდას შესწირავს. მაგრამ, ყველა ამისა-
თვის საშუალებანი უნდა გაძონათოს ბოლოება გამ-
მგეობად, როგორც ამორჩეულებმა და საგანგებოდ
ამ საქმეზე მიჩენილებმა და რასაკვირველი წევრე-
ბმაც არ უნდა მიაგდონ ჩვეულებრივად ცველაფერი
გამგეობას და ოვითონ მარტო თავისი გაინაღოთ.
ჩვენი ყოველი საზოგადოება და საქმე ცწორედ
იმისაგან იჩაგრება, რომ ყველაფერს გამგეობის
მიაგდებენ და შემდეგ დახმარების ხელს ან რჩევა-
საც აღარავინ მიაწვდის ხოლმე.

ჩვენ უდიდეს ყურადღებას იძიროს ვაჭუევთ
ამ მეორე მხარეს ამხანაგობისას და არა ვაჭრულს,
რომ პირველია დედა აზრიც და მიზანიც და თუ
ეს მოხერხდა—მაშინ ვაჭრული მხარის კარგად და-

უნება სულ უბრალო საქმეა. ხილი , ქართლისა;
როგორც პირველ საკიროების საგანი, ისევე რო
გორც ლეინო „კახეთისა“ თავისოთიად გაიკვლევს
გზასა, რადგან წინ წაუქმდება თავისივე ლირსება.

მომავალში, თუ ამზადული წევრია და
წევრები გულმოდგინეთ მოეკრდებიან ამ საქმეს,
აუცილებლაც საკირო გამდება ან თვით ამ იმანა-
გობის წაფართოვება იმ ზომამდე, რომ სოფლის
ყველა ნაწარმოებმა იპოვოს იქ ადგილი რა ბაზი-
რი, ან შექმნას პარალელურიად სხვა და სხვა ამხანა-
გობათა სოფლის სხვა ნაწერმოებთა გასასაღებლა-
დიც. ქსელი ისეთი კოოპერატიული ამხანაგობებისა
მციდროდ უნდა მოეფინოს მთელ ჩვენს სამშობლოს,
რომ ბრძოლა ისებობისათვის გავვიალვილდეს და
ჩვენის ორგანიზაციით დაუარღვიოთ ის უტრის მე
დგარი იერიშები, რომელიც დღეს-დღეისობით
უნაყოფოთ არ ეხეთქებოან ჩვენს ზღუდეებს და
გვაცელიან პოზიციებს.

ჩვენის აზრით, ახლო მომავალში პრაკტიკუ-
ლად შესაძლებელი გახდება გეროთიანება ჯერჯე
რობით „კახეთისა“ და „კართლისა“, რადგან მე-
ტად ბევრი საერთო მხარე აქვთ როგორც აღვი-
ლობრივ მწარმოებელთა პირობებში, ისე მით
უმეტეს ნაწარმოების გასაღებაში.

6. 3.



მერექვებული და ჩაგრულ ერების ბედი რესეტში

ამეამად მხოლოდ რუსეთშე მინდა ვითიქრო,
მხოლოდ რუსეთშე და სხვა არაფერზე, სხვა არა-
ვისზე. რუსეთში მყოფთა ერების და არსებულ ენე-
ბის საკითხი თვით რუსეთის არსებობის სიკითხია.
მინდა ყველა იმ ერებსა და ენებს ვკითხო: როგო-
რა გსურთ, გინდათ რუსეთთან იყოთ, თუ რუსეთის
გარეშე? თუ გარეშე ყოფნა გინდათ, რაღათ მოგ-
ვმართამთ რუსებს ნეელისათვის? თუ გარეშე ყოფნა
არ გინდათ, მაშ დაივიწყეთ იმ საშინელ წუთს თქვე-
ნი თავი, მხოლოდ რუსეთშე იფიქრეთ, თორემ არ
იქნება რუსეთი და არც თქვენ იქნებით; რუსეთის
გადარჩენა, თქვენი გადარჩენაა, რუსეთის დაღუპვა
თქვენი დაღუპვაა. მინდა ვსთქვა, რომ არ არსებობს
არც ებრაელების საკითხი, არც პოლონელების,
არც სომხების, არც ქართველების, არც რუსინების

და არც სხვებისა, რომ არის მხოლოდ რუსების სა-
კითხი. მინდა ეს ვსთქვა, მაგრამ არ შეიძლება. რუ-
სი საზოგადოების ტრაგედიაც ის სწორეთ ამაში
მდგომარეობს, რომ არ შეუძლიან ეხლო ესა სთ-
ქვას.

რუსი საზოგადოების იდეალიზმი ერთა საკით-
ხებში უძლურია და ამიტომაც პისუხის გაცემა ვერ
შეუძლიან.

ეს ებრაელების საკითხში უფრო მკაფიოდ გა-
მოსცვივის.

რა უნდათ ჩვენგან ებრაელებს? ზნეობრივი
აღმფოთება? ის რომ ვცნათ ანტისემიტიზმის საზი-
ლობა? მაგრამ ეს რა ნანია არის კიდევ; ეს აღ-
მფოთება ისეთი ძლიერია და უბრალო, რომ მასზე
მშვიდი და გონივრული ლაპარაკი შეუძლებელი

ხდება. მხოლოდ ის და დაგვრჩომია, რომ ებრაელებთან ერთად ვიყვიროთ, გვიშველეთო და აյრ კიდეცა ვყვირით.

მაგრამ მხოლოდ ყვირილი ძალიან ცოტაა. ჩვენ ეს შევიგნეთ და მიტომაც ვიქანცებით, ძალა ვველავა. ძალიან სამძიმოა, ტკივილებსა და სირ ცხვილს იწვევს. მაგრამ მიუხედავად ამ ტკივილებისა და სირცხვილისა, ჩვენ მაინც ვყვირით, გავიძინოთ, ვფიცულობთ ვარწმუნებთ ადამიანებს, რომელთაც არ იციან, რომ ორჯერ ორი ოთხია, ებრაელები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, რომ ებრაელები მტრები, მოღალატეები არ არიან, რომ ებრაელები რუსეთის ალალი მოქალაქენი არიან, რომ ებრაელებს რუსეთი ჩვენზე ნაკლებ არ უყვართ, რომ ანტისემიტიზმი რუსეთის სახეზე გამათხვისირებელი ლაქაა.

ამ ყვირილთან ერთად არ შემიძლიან რომ ერთი დამშვიდებული აზრიც არ გამოვთქვა: „იუდოფობობა“ და „იუდოფილობა“ ერთი ერთმანეთზე გადაბმული.

სავა ეროვნების ბრძან უარყოფა სხვ ეროვნების ბრძან დამტკიცებასაც იწვევს, ერთი მოწინააღმდეგის აბსოლუტურ „არას“ მუდამ მოპირდაპირის აბსოლუტური „ჰოს“ მოსდევს.

რას ნიშნავს სიტყვა „იუდოფილი“ რუსეთში მაინც? ეს ნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც ებრაელების განსაკუთრებულ მოყვარეთ ითვლება, რომელიც ებრაელებში უფრო მეტს სიძართლესა ჰქონდავს, ვიდრე სხვა ერებში. ასეთ იუდოფილებად ვეჩვენებით ჩვენს ნაციონალისტებს, ჭეშმარიტ რუსს ადამიანებს, ჩვენ რუსი ადამიანები, არაჭეშმარიტები.

რა სულ ებრაელებისათვის ზრუნავთო? - გვეუბნებიან ნაციონალისტები.

აბა, როგორ არ ვიზრუნოთ ან ებრაელებზე, ან პოლონელებზე, სომხებზე, ქარიველებზე, რუსინებზე და სხვებზე? როცა ჩვენს თვალშინ ვისმეს შეურაცხყოფას აყენებენ, ადამიანობა მოითხოვს გვერდი არ ავუქციოთ, უნდა ვეშველით ან მაინც გვიშველეთო, ვიყვიროთ იმასთან ერთად ვისაც შეურაცხყოფას აყენებენ. აი ამას ვაკეთებთ და ვი ჩვენ, თუ ასე არ მოვიქცევით მხოლოდ იმიტომ რომ ჭეშმარიტი რუსები გავხდეთ, ადამიანები აღარ ვიქნებით.

ჩვენს გარშემო გროვნულ საკითხების მთელი უღრანი ტყე აღიმართა და რუსეთის ცა ჩვენს თვალს მოაფარა. რუსეთში არსებულის ყველა ენების ხმამ რუსული ენა დაფარა. ეს ასეც უნდა მომ-

ხდარიყო. თუმცა არც ჩვენ გვაურია კარგი, ვაგრამ ისინი მაინც ჩვენზე უარეს დღეში არიან. თუმცა ჩვენც ნაკლებ არა გვტკივა, მაგრამ სიმარ მაინც ჩვენზე უფრო ძალიან სრულივათ, მათი გულისათვის ჩვენ ჩეენი თავი უნდა დავივიზურებოდეს!!

ამიტომაც არის, რომ ნაციონალისტებს ვეუბნებით:

— დადექით, ნუ ავიწროებთ სხვა ერებს, თუ გინდათ რომ უფლება გვქონდეს ჩვენს თავს, რუსები ვუწოდოთ, თუ გინდათ რომ შევძლოთ ჩვენი ეროვნული ადამიანური სახის გამოჩენა და არა მხეცურისა.

ავიღოთ მაგალითად ვინდ აი ეს ებრაელების საკითხი.

ამ საკითხს არამც თუ ეროვნული, სარწმუნოებრივი მხარეცი იქვე. იუდიახობა და ქრისტიანობა ორი პოლიტიკია, რომელთა შორის როგორც ლრმა მიმზიდველობის ძალა არსებობს ისე ღრმა ჩამომაშორებელი ძალა. ქრისტიანობა იუდიანობიდან გამოვიდა, ახალი აღთქმა ძველი აღთქმიდან. მოკუკული პავლე უკელახე შეტად ებრძოდა ებრაელებს, მაგრამ მზად იყო თვით ქრისტესაც ჩამოჰშორებოდა, თუკი ეს სარგებლობას მოუტანდა მის ძმებს, ე. ი. ებრაელობას.

მიმზიდველობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ უკუგდებაზე კი არა. აბა როგორ შეიძლება ვეკამათოთ იმას, ვისაც ხმის ამოღების ნება არა აქვს? ებრაელების უუფლებობას ქრისტიანების დუმილი უპირისპირდება, ებრაელების გარეშე ძალ დატანებას — ჩვენი შინაგანი ძალდატანება.

— რა მიზეზით აეშალა ტკივილები ებრაელებებს ს საკიანს სწორეთ ამ ომის დროსა? იმ მიზეზით, რა მიზეზითაც აეშალა ტკივილები ყველა ეროვნულ საკითხს,

ამ ომს გამანთავისუფლებელის სახელი ვუწოდეთ. ეს ომი ჩვენ შორეულების გასანთავისუფლებლად დაეიწყეთ. შორეულები ვვიყვარს. რათ გვეჯავრება მახლობლები? რუსეთის გარეთ გვიყვარს, რუსეთის შიგნით კი გვეჯავრება. ყველა გვეცოდება, ებრაელებს კი შეუბრალებლად ვეპყრობით.

თუ ასე მოვიქცევით კიდევ, აღარ დაგვიჯერდენ, ასე გვეტყვიან ერები:

— თქვენ მხოლოდ შორიდან შეგიძლიანთ სიყვარული. თქვენ სტყუით.

ჩვენ ხომ იმედს ჩვენს სამართლიანობის ძალაზე ვამყარებდით. ჩვენ გვინდოდა ძალა ჩვენი სამართლიანობით დაგვემარცხებინა თუ კიდე ეს სურე-



ინგლისის ჯარის წარმოშოდეენელნი უმაღლეს
მთავარ-სარდლის შტაბში.

ლი გვაჩვე, მაშ ნუღარ ვიცრუებთ, ნუღარ დავა-
სუსტებთ სიცრუით ჩვენ სამართლიანობას, ჩვენ
გამარჯვების მოქმედობას ძალას.

გერმანელები გაიძახიან: მსოფლიოს დასაპყრო-
ბათ ვომობთ, მსოფლიოზე უფლობისათვის ვომობ-
თო, და სწორედ ისე იქცევიან რასაც ამბობენ. ჩვენ
თუ ვიძახით, მშვიდობიანობისადვის ვომობთო, მსო-
ფლიოს განთავისუფლებისათვის ვომობთო, უნ-
და ვასრულებდეთ კიდეც.

რუსულ ენაზე მსოფლიო და მშვიდობიანობა
ენით ერთნაირათ გამოითქმის. მხოლოდ განსხვავება
იმაშია, რომ მსოფლიო (მირ) წერტილიანი
„ინით“ (i) იწერება და მშვიდობიანობა (მირ) კი
უბრალო „ინით“ (ii). გერმანელები „ინს“
წერტილს უსვამენ. ნუ თუ განსხვავება მარტო იმა-
ში უნდა იყოს რომ ჩვენ სიტყვა მშვიდობიანობა
უწერტილო „ინით“ გამოვთქვათ ხოლმე. ჩვენ
მარტო სიტყვით კი არ უნდა განვსხვავდებოდეთ
მტრისაგან, არამედ გულითაც. ისე უნდა მოვი-
ქცეთ, რომ ერებმა გაიგონ რის გულისათვისაც
ვომობთ, მსოფლიოზე უფლობისათვის, თუ მსო-
ფლიოს განთავისუფლებისათვის, მაშ მოდით ეს
ებრაელებიდან დავიწყოთ.

მაგრამ დედე, შევიწროებული ერებიც ნუ დაი-
ვიწყებენ, რომ თავისუფლების მარტო თავისუფალ
რუსის ხალხის წყალობით მოიპოვებენ.

დედე ებრაელებში ნუ დაივიწყებენ, ხომ ებრაე-
ლების საკათხი რუსის საკითხიც არის.

გიგოს გაზეთი

თბილისში ორშაბათ დილა ისე არ გათენდება,
რომ ახალი ჭორი არ გამოცხვეს რამე და ეს ჭორი,
უეპეველად უნდა „თემის“ რედაქციაში იზიდებო-
დეს. გუნდებს თვით ბნი გრიგოლი იმოილებს
ხოლმე და „თემის“ ფურცლებს ცხელ ცხელი ლა-
ვაშებივით აბნევს ქვეყანაზედა.

ვინ არის პატრონი.

რას დაგიდევს „თემი“, თუ მისი ცხელ ცხელი
ამბავი ყოველთვის ჭორის, ოლონდ კი ყველას და-
ასწროს, ყველაზედ აღრე მან ამცნოს ქვეყანას
ვისიც სიკედილი ან ნათლობა, ყველაზედ აღრე
გამოიტიროს სახელოვანი თუ უცნობი მწერალი,
ყველაზედ აღრე იუგოს ანდერძი ან აღმოაჩინოს
„კადევ ერთი გენიოსი“, და სხვა და სხვა.

ისე ერთ დილას იჯდა ბ-ნი გრიგოლი და
რალაცას ყური მოჰკრა, არც აცია, არც აცხელა და
გამოაცხო: „მაისიდან თბილისში გამოვა ახალი
ქართული ყოველდღიური გაზეთი. მონაწილეობას
იღებენ: მის. მაჩაბელი, პართ. გოთუა, კონსტ.
თუმანიშვილი და ახალგაზრდა მწერალი „კლდის“
მიმართულებისა.“

რამდენჯერ გვითხოვნია „ოქმისაოვის“ თავი
დაგვანებოს მაგრამ შაინკ წილა-წამუა და გადაი-
ჩენება ჩვენ „კადეზედ“.

უზრუნველ ქართველ ლის ჭრის უცხოებან

(გვირიდან გვირამდე)

ნაცარი.

P. S. ახალი ამბავი. როგორც გავიგეთ
ახლო მომავალში თბილისში გამოდის ახალი რუ-
სული გაზეთი. გამომცემელი იქნება ცნობილი
ალექსანდრე ჯაბადარი, თანამშრომლი ირა ნაკ-
ლებ ცნობილი სარქის კაյაბაძე, ეკილბლაზედ—
ცნობილი ალექსანდრე ყანჩაველი, ახალ იმბების
შუბობელი—ცნობილი გიგო დიახმიძ. როგორც
ხედავთ შეურილი თბილი, მაგრამ... კომპანია.
რედაქტორი ასახელებენ ცნობილ დუბრივსკის,
რომელიც უეჭველია მოპყოლის მათში... იმ უ-
დორავმანიშვილი.

6—5.




საფრანგეთის ჯარის წარმომადგენელები უმაღლეს მთავარ-
სარდლის შტაბში.

ლითს ჩვენა ფხედავთ, თუნდა ჭუთაისის ქართულ გიმნაზიის ცხოვრებიდანაც: იქაურ ეტო მეშვიდე კლასის მოწაფეთაგანს იმდენად პროგრესულოდ განუვითარებია... გრძნობა-აზე თვენების საჯაჭრო თუ თუ არა, მუშტი მაინც, რომ ალმარტინი თვე სივე სათნიანი, ყველასაგან პატივუმული, აღმზრდე ლი მასწავლებელიც კი და ამით სისტორიოთ უკვდავ უყვია თავისი თავი. ამიტომაც, რა გასაკვირ-ველია, თუ აღნიშნული პერისტატე—მოწაფე ბი-უწვევია, დიდი სასყიდლის გაღებით, პეტოფრადის ზოოლოგიურ ბალს...

ზოოლოგიურ ბალების ტიპებს რომ, ღვთის წინაშე, საკმაოდ იძლევა ჩვენი უბადრუკი ცხოვრება, ამაში დარწმუნდება უველა ის, ვინც კი დაპ-კვირვებია, სხვათაშორის, ჩვენებურ კლუბებში მო-სიარულეთ: მხედველობაში რომ არ მიიღოთ მუშ-ტი-კრიფი, რამაც უკვე მოქალაქობრივი უფლება მი-იღო ზოგიერთ ამ „კულტურულ დაწესებულებებ-ში“, — თქვენ იქ მრავლად შეხვდებით ისეთს, საპა-ტიო ხანში შესულ მანდილოსანთ, რომელთაც, თუ რამ ოჯახში ნივთი პქონია დასაგირავებელი, მსრუნ-ველობით ჩაუბარებია ლომბათლისათვის და, ღამის ორ საათამდე, დაუინებით ჩაჰკირკიტებს ციფრებიან ქალალდს და ამაოდ, სულის სიმწარით, ელის, ხუთი ლობითს ერთ რიგზე განწყრივებით, მოიპოვოს ცა-თა სასუფეველი თუ არა, ამ ქვეყნიურად სახარჯა-ვი გროშები ჭაინც.

გროშების „ბრავლად“ შეძენის სურვილი პქო-ნიათ აგრედვე კახეთის რკინის გზის მესვეურთაც, რომელთაც აღნიშნული გზა გაუყვანიათ: იოლიდ სახელდახელოთ, ქართველურის უზრუნველობით: რელსები დაუწყვიათ, ზოგან ფხვიერ იდგილზე და ზოგან ჰაერშიაც კი ჰკიდიანო. — ეტყობა იმ მოსაზ-რებით უხელმძღვანელებიათ, რომ უფიქრიათ: მოგ-ზაურები, ერთხელიაც არის. ქებურიისი არ იყოს, თანამედროვე ტეხნიკის განვითარებასთან ერთად, ფრენას ისწავლიან და მგზავრობის დროს, სადაც ადგილ-ადგილ გზა გაფუჭებული და სახიფათო იქ-ნება, — იქ გადაფრინდებიანო... რაც შეეხება საჭო-ნელ-ბარგის გადაზიდვას, ვინაიდან მათი ფრენი ძნელი მოსალოდნელია და ამასთანავე დიდ „ხლაფორთსაც“ შოითხოვს, — დაუწესებიათ იმათ გადასატან ხარჯათ, ბევრით იმაზედ ზედმეტი ფასი, რასაც აქამდე ჩვენე-ბევრით მეურნეები ახდევინებდნენ. ამას გარდა, იმ გზის მოძრაობის უფროსს ბ. პ. მაჭავარიანს, მეტის

და რომ ჩვენი ცხოვრება მართლაც ჯეროვა-
ნის პროგრესით წინ მიიწევს, ამის უტუკარ მაგა-



ინგლისელთა ჯავშნოსნები დარდანელის სრუტესთან.

ბევრნა მუდარით, ხმა და თვით ცხოვრების ინტერე-
სიც კი დაპყარევია, მაგრამ მაინც ვერაფერს გამს
დარა და ვერ დაუნშნინებია საჭირო რიცხვი გზაზე
მოსამსახურეთა; ამიტომაც ამ გზაზე, ერთი სადგუ-
რიდან ოთხ გადის მარტოებელი, თან მიჰყვება სად-
გურის უფროსი, ტელეფრაფის მოხელე, „კანტორ
ჩიკი“, მეისრე და სხ. მეორე სადგურზე დასახვედ-
რიდ და უმაღ გასაცილებლად. . ერთი სიტყვით ამ
გზაზე ნამდვილი „ნაციონალური კომერცია“ გა-
მეფებული.

—

კველა ამისდა მიუხედავად, მაინც გულს ნუ
გაიტეხ მკითხველო: თუმცა ჩვენ საზოგადოებრივ
ცხოვრების ჯეროვანი სიცხოველე აქლია, მაგრამ,

გალლილეის თქმისა არ იყოს: „მაინც ბრუნავს!“, — მაინც აშკარადა სჩანს, რომ ჩვენმა ხალხმაც საღათას
ძილს თავი დაახწია და ქვეყინასა და ცხოვრებას თა-
მამად უძახის: „მეცერთ კაცად უნდა მიწამოო!“...
ნათქვამის საილი უსტრაციოთ, მე აქ უმაღ მინდა
გავიხსენო ჩვენი მეფე-მგოსნის — აკაკის გარდაცვა-
ლება, რომელმაც თვისი სიკვდილითაც, ახალი სი-
ცოცხლე შეა!.. მე მინდა, აგრედვე, გავიხსენო
სიტყვის ჯადოსან ივ. გომართელის მუსიკალური
სიტყვა-სიმღერა... მე მინდა ამ გახსენებით ერთხელ
კიდევ დავსტკბე და... მაგრამ ჩუ! მგონი რედაჭმო-
რიც მოდის... მაშ ნახვამდის, მკითხველო!..

გ—ი ახ—ელი.

გ ე რ ი


მახსოვს, ტბის პირად კოცნებობდით დღის დასასრულსა, —
ერთ-ურთს სიამით ვუამბობდით წარსულის ზღაპარს ..
ჩვენ წინ მინდორზე კვავილები გადაშლილიყო
და ლერწმის რტოებს ცელჭი სიო ევლებოდა გარს...
კრცელ ოკეანეთ გადაშლილი ცის დასავალი
ვით სხივთ კოცონი ალისფერად იღებებოდა.,
ლურჯს ნისლის ზოლი მოხვეოდა თოვლიან მწვერვალს,
საღამო იყო., არეს მწუხრი ეფინებოდა..
ოჳ, ვით სიცოცხლით და ვითარის იღუმალებით
იყო აღსავსე იმ საღამოს ირგვლივ უოველი..
თითქო ბუნების მინაზებულ სახეში კრთოდა
ვით უკვდავება ციურ მადლობა უხვად მთოველი..
უცბად სადღაც შორს ტბის სიღრმეში ამღერდა გედი.
ამღერდა გედი და გაისმა მწუხარე ხმები..—
იქნებ სიცოცხლეს სამუდამოთ ესალმებოდა,—

იქნებ სიკუდილშა შეახო მას მსახურალი ფრთები!,,
ნელი შრიალით აქვითინდენ ლერწმის რტოები, —
ზეო-თნი შეირხნენ და ატოყდა ტბა მივერცხილი,,
ახ! ვის შეჭურდა ნორჩი გედის ლალი სიკოცხლე, —
ნეტი ვინ ჩასკა სასიკუდილო მკერდში მაბვილი?..
ჩუმი, წყნარი და სევდიანი იყო საღამო...
ლამის ბურუსში ინთქმებოდა შორი ტყე ველი,,
ვარსკვლავთა ხომლი ციმციმებდენ ცის კამარაზე, —
იყო სიჩუმე და დუშმილი დაურღვეველი!



ერთობის
გამოყენება

3. გორგაძე.



სხვა და სხვა ამბები

(ეურნალ-გაზეთებიდან)

★ უიაფერერის დაზიანება. გერმანიის წესა-
ქვეშა ნავმა ძღიურ დაზიანა ინგლისელთა უზარმაშარი
ბემი „უიაფერერი“, რომელსაც 9,500 ხატა წესალწევა
აქვს. გემი ბუქსირებით, როგორც იუთ კვანსტრუები, მი-
იყვანეს.

★ გერმანელები ავსტრიაში. შეკაცურიდის გა-
ზეთების სიტყვით გერმანელებმა დიდადი ჭარი გადა-
იყვანეს ავსტრია-უნგრეთში. ცხადია, საშედრო მოქმე-
დებას ცნობი მაღა გარშატები გახდება.

★ რუმინია და გერმანია. როგორც ირკვევა,
თურმე რუმინიას დიდადი პური გამტანია რესეზიდან
გერმანიისთვის. რუმინიის სახელმწიფოს თანხამ ამ ვაჭ-
რობის გამო 242 მილ. ფრანგით იმარს.

★ დარდანელს ამაგრებენ. მას შეძებ, რაც
მოკავშირებებმა იყრიში მიიტანეს დარდანელის სრუტის
გასარღვევად, გვედასი დარწმუნდნენ, რომ თურმეს ზღვით
აღება უფრდად მეტყველებით თუ დესანტი არ მოახდინეს
და ხმელეთთ არ დაკმარხებოთ. ეს თსმალებმაც შეიგნეს
და წანატარ ემზადებიან გადეც. სასისისა და დისტან-
ციის შეს მათ მრავალი სიმაგრეები აუგიათ, რომ დესანტის
ხელი შეუძლონ.

★ „მეჯიდიეს დალუპვა“. ადესაზე თავდას-
ხმის ღრუს დაიღუპა თსმალია ქრისტენი „მეჯიდიე“.
უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობდნენ თსმალების
სიღატაბეზე, შიშმილობაზე, ხოლო ბემების შესხებ
უკეთანი დარწმუნებული იუვნენ, რომ დაზიანებული არა-
ან, მას თან ქვა-ნახმირი არა აქვთთ, ან და თუ აქვთ,
ისიც მეტად დაბალი სარისხისა, რაც მაღვენებს აფეშე-
სო, მაგრამ... სინამდვილემ სხვა აღმოჩინს: თსმალია

გემები თამაშად დაესხნენ ქადაქს და ქვა-ნახმირიც და-
ღუშებდ „მეჯიდიეზე“ ძირითა ანტაცილიდან შედგე-
ბოდა... (ბ. გ.)

საზოგადოებისადმი

ამ ახლო წარსულში ქართ. კულტ. მოწვ. საზოგა-
დოებაშ დამავალა აკად. უნივერსიტეტის მედიცინა.
კარგა ხის მოუიქნების შემდეგ გივისრე ეს მიმშე საჭ-
მე სისაუდები მოგიგანტ, მაგრამ ერთის ბირთისთ კა-
თუ თვით საზოგადოება შემიწეობის ხელს. მოგეხსენე-
ბათ, თუ ჩვენი ინტელიგენციის ზრდისა, განვითარები-
სა თუ ჩვენი სოციალურ ცხოვნების ისტორია შეცხრაშე-
ტე საუბრ. რა მძიმე საბივით შიდის შეწავლის მხრით.
დღესაც, როდესაც ამდენი ფურნალ-გაზეთების გვაქვს და
ინტელიგენციი მაღალი მრავლად შეგვეძინენ, ჩვენ მხო-
ლოდ მამზადების ხსნაში ვართ და გეგმით მდიდრ პი-
რავნების გამოჩენას, რომელიც შესძლებეს ამ გარდამავალ
ხსნის შეწავლას, გრუნილებას და მეცნიერების ახალი
მეთოდით გამუქებას. აქმა არ უჩა, აკადის ბიოგრაფიაც
და მის ოხზულებათა სწორი გარჩევაც. მაშინ მოხდება.
მანამდე კა ჩვენ შეგვიძლიან მასალების კლასოვიკაცია
მოვახდითთ. ეს კა არც ისე ადგილია. აკადის ბიოგრა-
ფია, მის თხზულებათა ქრისტიანობის გარჩევა ეს
მოვლი შეცხამეტე საუბ. მეორე ხახერის აღწერადღის
იქნება, განაიდგან აკადი და ხსენებული ხსნა ერთ-ერთის
ეკვივალენტები არიან? უვერა ეს მთითხოვს დად დროს
და მეტად ურთხილ მუშაობას. ამიტომ მიუმართავ უკა-
დას, დამეცმარონ ამ მძიმე საქმეში. აკადის თანამედრო-

გეთა ურველი რჩევა, მიწერ-შოწენა, საბუთები დადის მადლობით აქცება მიღებული და შემდეგ დანთბობილი გადაეცემა ქართ. კონტაგ. საზოგადოებას, ას და იქ, სადაც ავტორნი მიშითითებენ. ურველი გარა მასალა გა- მარგზავნება „კლდის“ რედაქციაში ჩემს სახელზე, კაბა- სთ შესახვევი, № 3.

პატივი ცემით დავით კახანიძე.

P. S. უმარჩილესად ვთხოვ ქრთულ შურსალ-გა- ზეთობას და „ხავ. ზავ.“-ს ქს წერილი უცველესად გა- დაძლევდონ.

დ. კ.

ქავლზე წასა- წერი „ლექსი“

(პატარა ამბავი)

I

ამ რამდენიმე კვირის წინად შემთხვევით მო- მიხდა ერთ ოჯახში გადა ვალეტება ძველის ძველი ქალალდებისა. ვიმედოვნებდი შეპოვნა მათ შორის რაიმე შესანიშნავი სიგელ გუჯრები. იმედი არ გა- მიცრუვდა. მართოლია, სიგელ გუჯრები ვერ აღმო- ვაჩინე, — შეიძლება ვინშე სხვამ ჩემზედ წინ ამო- კრიბა ისტორიისათვის გამოსადევი და საჭირო სი- გალ-გუჯრები, რაც უეჭველად უნდა ყოფილიყო ამ ძველიდან განთქმული და შესანიშნავი ოჯახის ნაშთ ქალალდებში — მაგრამ რაც მე იღმოვაჩინე ამ ქალალდებში იმას თვისი მნიშვნელობით ვერა სი- გელ გუჯრები ვერ შეედრება. და თუ არ ჩაუვარ- დათ ხელში წინანდელ მკვლევართ ჩემვნით აღმოჩე- ნილი იშვიათი საბუთი, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მათი ჩერების დროს არ ერივა ქალალდებში, რადგანაც შემდევი დროის ნაწარმოები და ნაშთია.

კერძმარიტად დიდი დანაკლისი იქნებოდა სამ- შობლო ისტორიისათვის, თუ ბეჭნიერი შემთხვე ვით არ აღმოვაჩინდი ამ ვარევნობით პაწაწა, ხო- ლო შინაარსით დიდ მნიშვნელოვან ქალალდს და გამოუმშევრებელი დარჩებოდა იგი.

ამ ეს ისტორიული ნაშთი:

„სანამ ვიყავ ვიქეიფე დრო ვარარე; რაც მებადა, სულ გავუიდე და შევჭამე. მოვკედი და ჯავრი თან წამყვა, რომ სასაფლაოს გაყიდვაც ვერ მოვასწარ“...

და შემდეგ იმისა გაგრძელება:

„ჩემო მემკვიდრენო, დიდი და სიდავიდირაბო ანდერძით მე თქვენ თვის არ შეგაწყვენთ. მოკლეა ჩემი ანდერძი და ბრიკცედ უწიწყორულესროვოთ ივი. ჩემს ძეგლს, რომლის დაზღმინდეც! მეს საფლავ- ზედ მე თქვენ ვალადა გდებთ „ეს ლექსი“ წაიწე- რეთ უცვლელად და უნაკლულოდ; და მის ქვეშ აღნიშნეთ ჩემი ვინაობა და წელნი, თვენი და რიცხვნი ჩემი დაბადებისა და გარდაცვალებისა“.

იმ ეს არის მთელი შინაარსი ჩემვნით ნაპოვნი ქალალდისა:

განსვენებული ანდერძის დამწერი, როგორც პირველ სტრიქონებიდან ვტყობულობთ, ცდიდა მთელი წარწერა ლექსიდ გამოეყვანა და „ლექსა- დაც“ უწოდებს ანდერძში თვის ნაწარმოებს. მო- ლექსოების ნიჭი კი ეტყობა, როგორც ამაში ყველა დარწმუნდება. მაგრამ შეიძლება სწორედ მაშინ მოუახლოედნენ სიკვდილის წუთნი, როცა დაიწყო „ლექსის“ წერა და ვერ მოასწრო მეორე ნახევარიც „ლექსისა“ შეემუშავებინა და დაემთავ- რებინა პოეტურად. ალბად შეეშინდა, რომ ის, რაც პროზად უნდა დაეწერა, არ დარჩიოდა და- უწერავი.

არ ვაცი ვინ როგორ შეხედავს ჩემს მოსახრე- ბას; ბოლო ჩემი შეურყეველი მოსახრებით კი ძეგლზედ წასაწერის შემთხვევლს ეტყობა უეჭველი ზედ გავლენა. შემდეგი თქმულებისა სახალხო გმირ- ზედ:

„სანამ ვიყავ, მდევი ვხოცა,
ჩემზედ მრერი არ ვიხარე;
ჯავრი ჩამყვა ბაყ ბაყ მდევის,—
ვწუხარ. უერსად მოვასელე“.

არამეც თუ უსაფუძვლოა ასეთი ჩემი დასკვნა. მართოლია განსვენებული საუკეთესო კურძი სასწავ- ლებელში იყო პირველად ნასწავლი, კარგიდ მომ ზადებული შევიდა გემნაზიის და შეოთხე კლა- სამდის მიაღწია კიდევ. მაგრამ იგი სრულიად ირ ერანებოდა არც წიგნების და არც გაზეთების კით- ხვას, როგორც გემნაზიის ყოფების დროს, ისე გემნაზიიდან გამოსვლის შემდეგ — ეგ სულ შოცლილი უსაქმეური აღამინის ხელობა არის ძრიღლებირაც გამოსთქვამდა ხოლმე წუხილს ჩახედ, რომ შეიდი- რვა წელიწადი მოსკადა და ტყუილ-უბრალოდ და კარგა იმოდენი დრო სწავლაში ხოლო როცა მო- ცლილი იყო, ე. ი. როცა არ ქეთობდა ან მო- სასვენებლიდ ემზადებოდა, მისი ეოთგული ნინია შეაქცევდა მას ზღაპრებით, მომეტებულ ნაწილად

კი იმ სახილხო გმირზედ, ვინც სიკედილის შემდეგ გაც კი ემუქრებოდა ბაყ-ბაყ მდევს. როცა მოხლაპრე იწყობდა: „სანამ ვიყავ, მდევი ვხოცე” და სხვა. განსვენებული, უკვე თვლემაში წასული, უკბად გააბრიალებდა გმირულს! იძლიერით და სისატიკით ანთებულ თვალებს. ვაეკაცურად გაიქნევდა მარჯვენა მუშტს და წამოიწახებდა „ვუ...“

II

ნათქვამია — გარდაცვალებულზედ ან ნურაფერს იტყვი, ან თუ იტყვი, კარგის მეტს ცუდს ნუ იტყვიო. მეც ვასრულებ ამ თქმულებას და მინდა განვუზიარო. სხვებსაც მხოლოდ ის, რაც რომ კარგი ვიცი განსვენებულის შესახებ. ეს კი არის, რომ თუნდაც გულს მოდგინედ დავარკვიოთ მოელი სიცოცხლე განსვენებულისა, ნარკვევში არაფერი მოჰყვება ისეთი, რაც ჩირქსა სკებდეს გისს სახელს. თორემ სხვა მრავილი მისი ნაცნობთაგანნიც დამემოწმებიან ამაში. რა დიდი ხნის მიცვალებული იგი არის — გუშინ არ იყო, რომ ისევ ჩვენ შორის ტრიალებდა!

განსვენებულის სახელისა და გვარის აღნიშვნა, როცა იგი ამჟ ქვეყნად ალარ არსებობს და თვითონაც არ დაასახელა აცდერძში თვისი ვინაობა, მეტად მიმაჩნია. არსებობენ მისი მოქმედებანი და შედეგნი ამ მოქმედებისანი, რაც უფრო ძვირფასია ჩვენთვის და რაც იქნებიან კიდეც მარადის ცოცხალნი და სამშობლო ისტორიას შესძენენ არა ერთსა და ორს ძვირფას ფურცლებს.

კიდევ კარგი, რომ დროზედ შეიგნო განსვენებულმა თვისი მოვალეობა და არ მოუხდა უფრო მეტი დროს ტაუილ-უბრალოდ დაკარგვა.

„არა, ჩემი ამოდენა მამულ-დედული აქ უპატრონოდ და მოუკლელად ეგდო, მე კი იქ მამ დგომოდნენ და მაზეპირებდნენ; თუ რა ხალხი ცხოვრობს ამერიკაში, ინდოეთში, აფრიკაში; რომელ ხემწიფეს ვისთან, რა დროს და რაზედ მოუკიდა ჩხუბი და შეკოთი და სხვა ამისთანები. რა სულელი უნდა ვყოფილიყავი, რომ ამაებზედ მეტენა თავი. თუ ჩემთვის სიკეთე უნდოდათ, გამავებინებდნენ ის უკეთურები, თუ რამდენი მქონდა ან — მთა, ან ბარი — ან ტყე, ან მინდორი; როგორ მომევლო მიმულისათვის, როგორ მომეხმარებინა ყმა და მარტო, ან როგორგავმყლავებოდი მომიჯნავებს და მოძეებს — აი ეს რომ ესწავლებინათ, ბაშუარა. მაღლობელიც ვიქნებოდი! და ალარ იმოდენა დრო დამეკარვებოდა უსარგებლოდ. ერ-

თიკ ვნახოთ თვისით მე ჩემთავად არ გამომეჩინა უნირი და გამჭრიახობა ასე წესიერი რომ მოვაგვარე ყოველი შერი — ხშირად ისეთი გეგმა ხოლო განსვენებული ამ სიუკეტს სიციფრულს წერთამდე.

განსვენებულმა — რაკი მობრუნდულში შაბ სასწავლებლიდამ — თვისი მოქმედება ნაყმევებიდამ დაიწყო. მართალია ბატუნი — ყმობა კანონიერად მოსპობილი იყო და იყვნენ მხოლოდ დროებით ვალდებულნი გლეხნი, მიგრამ მემკვიდრეობითი თვისებანი მებატონისა შეუდარებელი სახით იყვნენ განსვენებულში განვითარებულნი. ამისთვის მისი მობრობა დამოკიდებულება ნაყმევებთან ბევრად არ აფრით განირჩეოდა კანონიერ ბატონი ყმობის დროიდგან. დარბევა — დაწიოკება განსვენებულის ნაყმევებისა ნადელის ფულების აკრეფაში ახლაც ისევე იყო მსვლელობაში, როგორც ბატონ-ყმობის დროს რათ უყვარდა ისე თავისი „ნინია მოურავი“, თუ არა ერთგულობისა და თავ გამოდებისათვის ნადელების აკრების დროს. განა სხვა ვინმე ნინიას გარდა მოიგონებდა ასეთ უებარ საშუალებას: „ხვალ შეადლემდის ყველამ უნდა ჩამაბაროთ ნადელების ფული ლელებლივაო — გამოუცხადა ნინიამ ნაყმევებს. შესრულდა ვადა. არავინ სხანდა. მაშინ ნინიამ დაიწყო რბევა თვით უღარიბესი ნაყმევი უგან, შევიდა ნაყმევის ქოხში! ბევრი ეძება ეპოვნა რამდე ნივთი. მაგრამ ვერაფერი იპოვნა გარდა პატარა ცურანი ქვაბისა, რომელიც საკიდელზედ იყო ჩამოკიდებული და იხარშებოდა შეი ლობით ნარევი ხორბალი — ამას უნდა გაეწივნა პურის მაგივრობა: შიმშილისაგან ნამტირალევ ნაყმევის ბაგშებისათვის, ნინიამ ბევრი ალარ იყოყმან, ჩამაილო საკიდლიდამ ქვაბი, მთაქცია პარქვე მინაზედ ხორბალი, ქვ ბი კი გადასცა მხლებლებს დუქანში დასაგირავებლიად წაელოთ. მოჰყვა იქედგან და ყველა ნაყმევის ხახლიდგან, ვინკ ფული არ ჩაბარა, რაც რამ კი ხელ ჩასკიდი იპოვნა, — ან სპილენძეულობა, ან ქვეშაგები, ან ტანისამოსი სულ სოფლის დუქანში მთაქცია და დაუგირავა მედუქნეს. ნინიას ამნაირმა მოხერხებამ თავზარი დასკათ ნაყმევებს. თითქმის გველის ხვრელში გაძვრნენ ყველანი, რომ საჩაროდ ეშოვნათ ნადელის ფულებიცა და გირენობის გამოსახუიდიც. ეს უკანასკნელი ნინიას გასამრჯელს შეადგენდა.

როცა განსვენებულმა მიიღო მოლიანად და უნაკლულოდ ნადელის ფულები, ნიშნად მაღლობისა და ქებისა შუბლზედ იკოცა ნინიას. ეს იყო და ეს, ნაყმევებმა შეიტყეს, რომ ნინიასთან ხუმ-

რომა ორ გამოდგებოდა. მათ მტკიცეთ შეიგნეს თავისი მოვალეობა და ნინიასაც ძრიელ იშვიათად უხდებოდა მიემართნა გამოცილ საშუალებისათვის—ისიც მაშინ, როცა უკიდურ გარემოებაში ჩადარდებოდა რომელიმე ნაყმევი.

III

ფულებით ჯიბე გატენილი და დიდი ამალის თანხლებით ყელმოდერებული გაუდგა განსვენებული სამახრო ქალაქის გზას. მხოლოდ, ცოტა ორ იყოს, გულმა ფანცქალი დაუწყო, როცა მიუახლოვდა ქალაქს. ორც გასაკურველი იყო მისი გულის აუანცქალება, რაღანაც პირველად ემზადებოდა სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას და სიფრთხილე საჭირო იყო.

„თუ პირველადვე ორ ვისახელე თავი—გამოუტყდა განსვენებული თავის ერთგულ ნინიას—და წევიბორძივე, მთელ სიუცხლეში შერცხვენილი და თავმოქრილი დავრჩებით“.

სხვა უიმისო როდი იფიქრებდა თავისი ლირსების დაცვაზედ. მოუსაზრებლად^{*} და აჩქარებით შეუდგებოდა საქმეს და შესაძლებელი იყო სასტიკად დამარცხებულიყო პირველსავე გამოგზავნაზედ სამოქმედო ასპარეზზედ. ბორიკის ასაკილებლად წინადვე შეუდგა განსვენებული თავდარიგს. ჯერ ორც კი ჩეყუო ჯიბეში ხელი ფულების ამოსალებად, რომ მთელი წლის შემოსავალი მინდვრებისა და ვენახებისა მიჰყიდა ერთ-ერთ მოვაჭრეთაგან, რომელნიც ხელს უმართავდნენ ამისთანა „გავირებულ ხალხს“. როცა ეს ფულებიც მიუმატა უკვე ჯიბეში მყოფ ნადელების ფულის, მხოლოდ მაშინ შეუდგა მოქმედებას.

შეზურნე გევდოს თვისი დასით სიჩრმადაც ორ ენახა ის, რაც განსვენებულმა ცხიდად აჩვენ. ნ როცა გევდოს მიაკრავდა შებლზედ ოცდა ბუთ-ხუთიან მანეთიანებს, დანარჩენ მისს ამხანაგებსაც ორა სტოვებდა უუურადღებოდ — მათ შებლებსაც დაამ. შვენებდა ხოლმე წითელ-წითელი ქაღალდებით და თანაც დაატანდა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიო, უთქვაში ჩეენს ძვირფას პოეტსაო“. ორა ვიცი ს ვა რამეც პქონდა შესწავლილი „ძვირფასი პოეტის“ ნაწარმოებიდგან, თუ მარტო ეს სიტჩვები გაეგონა შემთხვევით სადმე.

ასე გამარჯვებით დაჲეშხიანად გადასდგა განსვენებულმა პირველი ნაბიჯი სახოქმედო ასპარეზზედ.

ეს იყო და ეს. განსვენებულს ორ დაუყრის

არასოდეს ფარ-ხმალი; ორ დაუტოვებებია იგი ასპარეზი თვით სიკვდილის დღემდე. მისი ჯიბე უმცელთვის ღია იყო და როგორც გულუხვად ჩადიოდა შეგ ფულები, ისე დაუზოგვალაზე—მოწიოდა იქიდგან.

განსვენებულს უფრო უადვილდებოდა დაუზოგველად ამოლება ფულებისა ჯიბილგან, ვიდრე გულუხვად ჩაწყობა მათი ჯიბეში; ცოტა ორ იყოს უძნელდებოდა ეს: რაღვანაც ნადელის ფულების იკრება და მომავალი მოსავლის გაყიდვა ერთხელ მეტად ორ შეიძლებოდა წელიწადში. ეს გარემოება ხანდისხან ძლიერ შეაფიქრიანებდა ხოლმე განსვენებულს. მაგრამ განვებამ შეიბრალი იგი, თუ სხვა რამ შემთხვევის ბრალი იყო, მრავალი მუშტარი მოაწყდა მას აუარებელ მამულ-დედულს. „როგორც თაფლს ფუტკარი, ისე დამეტვია მამულის მუშტარიო“ — იკვეხოდა ხოლმე განსვენებული თავის სწორ-ამხანაგებში.

თუ როგორ ფასებში ან როგორის წარმოებით ჰყიდდა განსვენებული — იმას შევიტყობთ მისი საუბრიდგან ერთ გლეხთან — მისსავე ნაყმევთან.

— ბატონო, ეგ როგორ გვიყავი, რომ მთელი ჩვენი გასაღებარი და მინდორი, რომლითაც სულს ვიბრუნებდით და ვცხოვრობდით მამა. პაპიდგან, ახლა სხვას მიჰყიდე და გაუბოძე.

— რაცა სჭამეთ აქამდის ის კი ორ გეყოთ, რომ შემდეგ შიაც არ მეჭმევინა თქვენთვის!

— რა ვჭამეთ, ბატონო, მუქთიად ხომ ორ გვიხმარია, ფასს ლალას გაძლევდით უველიფერში.

— სად თქვენგან მოცემული და მწვადივით შექმული ლალა და სად ერთიანად იღებული მამულის ფასი!

— ჩვენ კი ორ გაძლევდით ერთიან ფასს? ბარებ ჩვენთვის მოგეყიდნა, თუ გაყიდვა იყო!

— რა ფასს მაძლევდით მერე თქვენ? რასაც თქვენ დღიურში მაძლევდით, ოთხი იმდენი სხვამ მომუა და დასაბმელი გიჟი ორ ვიუნებოდი მაშინ, რომ მე ამაზედ უარი მეთქვა და თქვენთვის მომეუიდნა ნაკლებ ფასში!

— ჩვენ სხვა ვართ და სხვა სხვაა. ჩვენი ნაყმევი და მეზობლები ვართ და უენ კი ვიღაც გადმოცემილ ურიასა და უტიას გადუყარე ის ძვირფასი შენი მამული და ჩვენი საკუთვნო მინდორ-გასადევარი.

— ჩემი მეზობელიცა და მოკეთევა ის ორის, ვინც მე მომეტებული ფული მომცა და მასარ-გებლა.

— აბა მაშ ჩვენ რაღა უნდა ვქნათ. თითო
მტკაველა ნადელების ანაბარას რომ დაგვტოვეთ
— ხომ ამოვიხრჩენით შიგ!

— მაგაზედაც მე ვიდარდო? რა ჩემი საქმეა
ამოიხრჩოთ, თუ იცოცხლებთ!.. თუ არა და
ვისი ბრალია? თქვენ რომ წინადვე გეფიქრნათ,
ცოტაოდენი მოგემატებინათ და ფასიც ნალდათ
ხელში ჩაგებარებინათ, სანამ ამისთვის ხელსაყრელი
მუშტარი გამომიჩნდებოდა, თქვენი ხელიდამ არ
წავიდოდა ეგ თქვენი გასადევარი.

IV

გასასვენეაული მიეჩინა ერთიანი ფულების
ალებას მამულების გაყიდვაში და, როცა მთელი
თვისი მამულები დააბინავა სასურველად, — ჩემზედ
უკეთესად მოუვლიანო, ამობდა ხოლმე იგი ხში-
რად — ნადელებში ალებული ფულების რაოდენობა
აღარ აკმაყოფილებდა მას. ამისთვის განიზრახა და
კიდევაც შეუდგა საქმეს ერთგულად, რათა ნაყმევთ
გამოესყიდათ ნადელები სახელმწიფო ხაზეინის სა-
შუალებით. საქმის დაჩარებისათვის იგი ვადასახ-
ლდა ტფილისში და იწყო ცხოვრება ერთ-ერთ
სასტუმროში. მართლაც საქმე ძრიელ ჩქარა მო-
გვარი და მაღა მიიღო ხაზინგდამ ფულები ერთია-
ნად და ბლომად. გაუსწორდა სასტუმროს პატრონს
დანახარჯებში ხოლო, რადგანაც მთელი დანახარ-
ჯები ვერ დაძფარა ალებულმა ფულებმა, იძულე-
ბული შეიქმნა განსვენებული სამოცი თუმნის ვე-
ქსილიც მიეცა სასტუმროს პატრონისათვის.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრი მოულო-
დნელი ხარჯებიც კი დაატყვდა თავს. „უმაწვილო,
ილიჯი წაიღეს ამ საქველმოქმედო მთხოვრებმა“: —
ჩივიდა ხოლმე ხშირად განსვენებული — „ეს სუ-
ლას შესწირეო, ეს იმას, ეს ამას; ანგარიში არა
აქვს, იმოდენა მთხოვნებლები მოდიან და თავს
მაბეჭრებენ“.

მართლაც ბლომად გამოსუნცლეს განსვენებულს
საქველმოქმედო საქმეებზედ. მისის ანგარიშით სულ
გაცემული პქნნდა ამ საქეებზედ ცამეტი მანეთი და
თოთხმეტი კაბეიკი. უფრო მეტის გაცემა მოუხდე-
ბოდა, რომ ერთი ქველმოქმედი „მთხოვარა“ არ
ეცრინა მცხეთობას. განსვენებული ქვეითობდა ჩვე-
ულებისაბებრ მცხეთის ტაძრი გალავანში მცხეთო-
ბას, როცა მასთან მივიდა ერთი მორჩილი ყულა-
ბით და სთხოვა ტაძრის განსახლებლად შეეწირა

რამე. ღვთის წყალობა მოგეცათ, იმან კუდით ქვა
ასროლინა მორჩილს: „შენ ვინ მოგენ ნება და
უფლება, რომ აქ, ეკლესის გარეთ /მოდინარ და
ხალხს აწუხებ და ჰლარსლივ! როცა ჰიუდარში შე-
მოვალ, მაშინ მომიტანე ყულობდა! //და ჰაუ მსურს,
მაშინ შევწირავ, როცა მინდა. თუ არა და აქ მე
ვქეითობ და შენ კი ქეითს მიშლიო“.

მელანია.

(დასასრული იქნება).

აჭარელებისთვის შოგროვილი ფული:

დეპუტატთა საკრებულოში თავად-აზნაურთა
კერძო თათბირის დროს აჭარელთა სასარგებლოდ
შეკრებილი იქმნა რვა თუმანი, შემომწირველთა სია
დაიბეჭდება მორიგ ნომერში.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი ქურნალის საშუალებით
ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ჩემს ძვირფის
სტუმრებს, რომელთაც კეთილ ინებეს და აჭარე-
ლების სასარგებლოდ გამოიდეს თამავინთი წვლი-
ლო:

ამბროსი შანშიაშვილი	.	.	50 კაბ.
ვას. კაპანაძე	.	.	1 მან.
ილიკო ბაკურაძე	.	.	1 "
ვერა და ბარ. აშტარიშვილები	.	.	1 "
სამ. დადიანი	.	.	2 "
ვარავი სალიარიძე	.	.	2 "
დავ. დავითაშვილი	.	.	4 "
იოსებ გელევანიშვილი	.	.	5 "
მ. ალამაშვილი	.	.	5 "
ვას. მცერვალიშვილი	.	.	10 "
ნიკ. ნიორაძე	.	.	1 "
რაედ. ჯაფარიძე	.	.	1 "
კობახიძე	.	.	1 "
დ. კასრაძე	.	.	1 "
გ. გორგაშვილი	.	.	2 "

სულ 37 კ. 50 კ.

პატივისცემით დ. კასრაძე.

რედაქტორ-გამოცემელი რ. გაბაშვილი.

